პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 73 (4843)

1973 წ. 14 აპრილი, შაბათი,

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

„დინამო“ 50 წლისაა

ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები, მთელი სპორტული საზოგადოებრიობა ზეიმით აღნიშნავენ „დინამოს“ შექმნის 50 წლისთავს. გუშინ დედაქალაქის ძველი და ახალი თაობების დინამოელთა კოლონამ რუსთველის პროსპექტზე საზეიმო სვლა მოაწყო. ისინი ლენინის მოედნისკენ მიდიოდნენ გვირგვინებით, ყვავილთა კონებით, სპორტული დროშებით ხელში. ყვავილებითა და გვირგვინით, რომელიც სპორტის დამსახურებულ ოსტატებს — ვეტერანს ე. გოკიელსა და ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ვ. სანეევს მოჰქონდათ, დინამოელმა ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა შეამკეს საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ძეგლი.

* * *

სურათზე: დინამოელები მიდიან ლენინის ძეგლისკენ.

მ. ზარგარიანის ფოტო.

• •

მოგილოცავთ, ამხანაგებო...

... საპატიო წოდებას

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 12 აპრილის ბრძანებულებით ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის, სპორტული საზოგადოება „დინამოს“ შექმნის ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება მიენიჭათ:

არუთინოვს ვლადიმერ ლევანის ძეს—სპორტული საზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს განყოფილების გამგის მოადგილეს;

ბაქრაძეს ალექსანდრე მიხეილის ძეს — მთავარ მწვრთნელს;

ბერძენიშვილს მიხეილ ირაკლის ძეს — პენსიონერს;

ვართანოვს გიორგი ამაზასპის ძეს — უფროს მწვრთნელს;

იოაკიმიდის ლუკა ალექსანდრეს ძეს — სპეციალიზებული ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორს;

ჟორდანიას ანდრია დიმიტრის ძეს — პენსიონერს;

ნინიაშვილს ქრისტეფორე ივანეს ძეს — უფროს მწვრთნელს;

სისორდიას თენგიზ ალექსანდრეს ძეს — სპორტული საზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს განყოფილების გამგეს;

ურუშაძეს გივი სამსონის ძეს—სპორტული საზოგადოება „დინამოს“ აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს;

ფალავანდიშვილს ლევან გიორგის ძეს — საქართველოს, ფიზკულტურის ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს;

ხანგულიანს არამ გერასიმეს ძეს — პენსიონერს;

ჭულელს მედეა ნიკოლოზის ასულს — რესპუბლიკური სპეციალიზებული სპორტული სკოლის დირექტორს.

... საპატიო სიგელს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 12 აპრილის ბრძანებულებით ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის, სპორტული საზოგადოება „დინამოს“ შექმნის ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

ამნიაშვილი მიხეილ გიორგის ძე — სპორტული საზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი;

დიდიძე ვახტანგ ერმილეს ძე — სპორტული საზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ლეკვეიშვილი თინათინ შოთას ასული — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი;

მეტრეველი ალექსანდრე ირაკლის ძე — სპორტის დამსახურებული ოსტატი;

ხურცილავა მურთაზ კალისტრატეს ძე — სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სპორტული საზოგადოება „დინამოს“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში დამსახურებისთვის, შექმნის ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, სპორტული საზოგადოება „დინამოს“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭო დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1973 წლის 12 აპრილი.

პირველად აჭარაში

„დინამოს“ 50 წლისთავის აღსანიშნავად აჭარის საოლქო საბჭო ბევრ საინტერესო ღონისძიებას ატარებს. ამას წინათ დევიზით — „ძლიერნი, მამაცნი, მარჯვენი“ ბათუმის საშეფო სკოლების ფიზკულტურელებს შორის ჩატარებულმა შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

მე-5 რუსული, საშუალო სკოლის დარბაზში ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებაში თავისუფალ ვარჯიშსა და ლერძზე მიზიდვაში მასპინძლებმა იმარჯვეს. მათვე მოიგეს ფეხბურთელთა ასპარეზობა და კომბინირებული ესტაფეტა.

ბაგირის გადაძალვაში, სიგრძეზე ხტომაში და კალათბურთელ გოგონათა შეჯიბრებაში I ადგილები დაიკავეს მე-4 სკოლის წარმომადგენლებმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს მე-5 საშუალო სკოლის ფიზკულტურელებმა (ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებელი ი. ჰანტურიშვილი), II ადგილზეა მე-4 სკოლის ნაკრები, III — 1-ლი სკოლის კოლექტივი.

ლ. მუჟავანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

გმირობაც ეს არის!

ელგუჯა ღუდუშაური ჩემპიონია

ლაიპციგში დამთავრდა რკინიგზელთა საერთაშორისო სპორტული კავშირის პირად-გუნდური ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. ეს ტურნირი პოპულარობით სარგებლობს სოციალისტური ქვეყნების მოჭიდავეთა შორის და ამიტომ სარბიელზე მუდამ უძლიერესნი გამოდიან.

სსრ კავშირის „კლასიკოსებს“ ბევრჯერ უსახელებიათ თავი რკინიგზელთა საერთაშორისო ტურნირებში. ისინი მუდამ ფავორიტთა შორის ირიცხებოდნენ. ასე იყო ამჯერადაც. გუნდური პირველობისთვის საბჭოთა მოჭიდავეებთან ერთად იბრძოდნენ მასპინძლები — გდრ-ის „კლასიკოსები“ და ბულგარელი ათლეტები. საინტერესო ჭიდილი სსრ კავშირის ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა. ჩემპიონატის ფინიშზე ბულგარელებმა გაუსწრეს მასპინძლებს და II ადგილი დაისაკუთრეს. გდრ-ის ათლეტები III ადგილზე დარჩნენ.

წონითი კატეგორიების მიხედვით რკინიგზელთა საერთაშორისო სპორტული კავშირის ჩემპიონები გახდნენ: ა. ვაინბერგი (სსრ კავშირი), ჟ. ბოჟკოვი (ბულგარეთი), ვ. ბაკულინი (სსრ კავშირი), ვ. რადემახერი (გდრ), მ. კისი (იუგოსლავია), ი. ჰენკელი (გდრ), დ. მანგოროვი (ბულგარეთი), ვ. ბილი, ი. კლინგე (ორივე — გდრ), ე. ღუდუშაური (სსრ კავშირი).

გდრ-ის პრესა აღნიშნავს საბჭოთა მოჭიდავეების მაღალ ოსტატობას და ბრძოლისუნარიანობას, ქებით იხსენიებს გამარჯვებულებს და, მათ შორის, ე. ღუდუშაურს, რომლის წარმატებამაც ფაქტიურად განაპირობა გუნდური ბრძოლის საბოლოო შედეგი. ტურნირის ნამდვილ გმირად დასახელებულია საბჭოთა გუნდის ვეტერანი, 36 წლის ვ. ეგოროვი (90 კგ). ბულგარელ გ. ნიკოლოვთან შერკინებაში ეგოროვი დაშავდა, მაგრამ არ დატოვა სარბიელი და შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანა. ეგოროვი ჩემპიონი მაინც ვერ გახდა, მაგრამ მისმა II ადგილმა ხელი შეუწყო საბჭოთა გუნდის წარმატებას.

გამარჯვებულთა შორის ორი თბილისელია

ეს ტურნირი ახალგაზრდა ტალანტების შემოწმება იყო ევროპული ფორუმის წინ და ამიტომ დიდი ინტერესიც გამოიწვია. ასპარეზობის მასპინძლები — იტალიელები — სერიოზულად მოემზადნენ ბრძოლისთვის, მაგრამ მათზე მეტად თავი ისახელეს საბჭოთა ათლეტებმა, რომლებმაც შინ 5 ოქროს მედალი ჩამოიტანეს: ახალგაზრდა მოჭიდავეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის ლაურეატები გახდნენ ყაზანელი რ. ზაქიროვი, ტაშკენტელი ბ. ომეროვი, ალმაათელი ა. ბიკოვი, თბილისელები თ. კიკნაძე და მ. სალაძე.

საქმით დაამტკიცეს

საქართველოს „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკურ საბჭოში დიდად პოპულარულია თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა. ეს ერთხელ კიდევ დაამტკიცეს ამას წინათ ნორჩმა მოჭიდავეებმა, რომლებმაც წარმატება მოიპოვეს ცენტრალური საბჭოს პირველობებში: თავისუფალი სტილის მოჭიდავეები ტაშკენტში ასპარეზობდნენ, „კლასიკოსები“ — ლენინგრადში.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირში გუნდური პირველობა რსფსრ-ს სპორტსმენებს ხვდათ. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები II ადგილზე გავიდნენ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ჭაბუკებმა რვა საპრიზო ადგილი მოიპოვეს. ისინი ყველანი ახალგაზრდა მწვრთნელის ნ. გაჩეჩილაძის მოწაფეები არიან. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ნ. ბუთხუზმა (75 კგ) და ტ. ძაგოევმა (70 კგ), რომლებმაც ჩემპიონობა დაისაკუთრეს. II ადგილებზე გავიდნენ ზ. გულიშვილი (48 კგ), მ. კოტიშაძე (65 კგ) და გ. კალატოზიშვილი (87 კგ). III საპრიზო ადგილები ხვდათ გ. გუმბერიძეს (87 კგ), რ. მურაჩაშვილს (60 კგ) და ნ. ქივიძეს (52 კგ).

„კლასიკოსთა“ ტურნირში საქართველოს გუნდმა V ადგილი დაიკავა. საზოგადოების ჩემპიონის წოდება მოიპოვა ა. ჩარკვიანმა (74 კგ). II ადგილზეა ა. გუგულაშვილი (70 კგ), III — ო. ლავრელაშვილი (52 კგ).

ამ დღეებში თავი ისახელა საზოგადოების კიდევ ერთმა „კლასიკოსმა“ ნ. მაჭარაშვილმა (57 კგ), ოღონდ იგი მინსკში უფროსთა საკავშირო პირველობაში გამოდიოდა. მაჭარაშვილმა III ადგილი დაიკავა და სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

ა. გურასაშვილი.

„დინამო“ 50 წლისაა

საკოლმეურნეო მშენებლობის გადამწყვეტ წლებში საქართველოს დინამოელები სისტემატურად უწყობდნენ ხელს სოციალისტურ სოფელს: ეხმარებოდნენ მანქანების შეკეთებაში, მონაწილეობდნენ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კამპანიაში. მაგალითად, 1931 წლის ოქტომბრის ერთ-ერთ დოკუმენტში საქართველოს დინამოელებზე ნათქვამია, რომ მათ ჩაუტარებიათ „საშეფო საგურამოს კოლმეურნეობაში მოსავლის აღების კამპანია: მონაწილეობდა საზოგადოების 60 წევრი...“ ან, ვთქვათ, შემოგვენახა 1933 წლის ფოტოსურათები, როცა ასი თბილისის დინამოელი ყარაიაზის ბამბის მინდვრებზე გადაისროლეს მავნებელ მწერებთან და პეპლებთან საბრძოლველად. დაბოლოს, „დინამოს“ ამიერკავკასიის საბჭოს სხდომის 1933 წლის 5 ივლისის ოქმში გვხვდება ცნობები, რომ დინამოელებმა ექვსი თვის მანძილზე შეაკეთეს დაახლოებით 300 ტრაქტორი და სასოფლო-სამეურნეო მანქანა, შეფობა გაუწიეს 31 საწარმო-დაწესებულებას; კოლმეურნეობას, მეურნეობასა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურს.

მაგრამ ყველაზე დამახასიათებელია შეფობის, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის, პოლიტიკური აგიტაციის წმინდა სპორტული ფორმები, რაც წითელ ხაზად გასდევს „დინამოს“ არსებობას ათეული წლების მანძილზე.

თბილისის დინამოელები, მაგალითად, საზოგადოების ორგანიზაციის თითქმის პირველი დღეებიდანვე შეფობას უწევდნენ პოლიგრაფტრესტის ფაბრიკის კოლექტივს. ჯერ კიდევ 20-ან წლებში ფაბრიკის ეზოში მათ პრიმიტიული ტირი მოაწყვეს, რუსული რიკაობის და ფრენბურთის გუნდების ჩამოყალიბებაში დაეხმარნენ საწარმოს მუშა-მოსამსახურეებს და ამარაგებდნენ სპორტული იარაღითა და აღჭურვილობით. მოგვიანებით ამ საწარმოში შეფებმა გაშალეს მუშაობა მშდ კომპლექსის I საფეხურის ნორმატივების ჩაბარებაში მუშა-მოსამსახურეთა ჩასაბმელად და ვოროშილოველი მსროლელების მოსამზადებლად.

დინამოელები შეფობას უწევდნენ ამიერკავკასიის კომკავშირის სამხარეო კომიტეტსა და სხვა ორგანიზაციებს თბილისში, საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში. მაგრამ საშეფო მუშაობა განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში გაძლიერდა. ახლა დინამოელები რესპუბლიკის 17 დაბასა და 14 კოლმეურნეობას შეფობენ, უმთავრესად — სასაზღვრო ზოლში. ამ დაბებისა და კოლმეურნეობების ფიზკულტურულ ორგანიზაციებს უთმობენ სპორტულ ბაზებს, გამოუყოფენ ინვენტარსა და ფორმას. შეფები ატარებენ სემინარებს საზოგადოებრივი მწვრთნელების, ინსტრუქტორებისა და მსაჯების მოსამზადებლად, აწყობენ სპორტულ საღამოებს, საჩვენებელ გამოსვლებს, ლექციებსა და მოხსენებებს, ერთობლივ შეჯიბრებებს.

თუმცა, პროპაგანდისა და აგიტაციის საშუალებებით სპორტის პოპულარიზაციას რესპუბლიკური „დინამო“ ეწევა არა მარტო საშეფო ორგანიზაციებში, არამედ ყველგან. საბჭოს მასალებში ხშირადაა აღნიშნული მოწინავე სპორტის ოსტატებით დაკომპლექტებული ბრიგადების საჩვენებელი გამოსვლები. ხშირად ეწყობა მსოფლიოს, საბჭოთა კავშირისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებისა და პრიზიორების შეხვედრები „რესპუბლიკის ქალაქებისა და დაბების დინამოელთა აქტივთან და მოსახლეობასთან“. ამ მასალებში ლაპარაკია თვალსაჩინო აგიტაციაზე (სტენდები, პლაკატები, გამოფენები), დინამოელ ლექტორთა ჯგუფებზე. მაგალითად, მარტო 1972 წლის მანძილზე აჭარაში წაკითხულია 52 ლექცია და მოხსენება, რომლებიც საქართველოსა და საბჭოთა კავშირში ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებას ეძღვნება. ქუთაისში 43 ლექცია ჩატარდა.

სპორტის პოპულარიზაციაში დიდი როლი შეასრულა საქართველოს დინამოელთა სხვადასხვა სახის სისტემატურმა გადასვლებმა და გადარბენებმა, რაც, ჩვეულებრივ, პოლიტიკურ კამპანიებსა და საავიტაციო ამოცანებს ეძღვნებოდა. აი, მაგალითად, რა იყო ნათქვამი „დინამოს“ საქართველოს საბჭოს 1932 წლის 10 სექტემბრის ბრძანებაში ერთ-ერთ ველოგადარბენასთან (თბილისი — მოსკოვი — თბილისი) დაკავშირებით: „მარშების შემდეგ, სიძნელეებისა და დაღლილობის მიუხედავად, გუნდმა დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობა ჩაატარა. გადარბენის მონაწილეები შესვენების დროს მოხსენებებსა და საუბრებს აწყობდნენ... გუნდმა ჩაატარა: 12 საუბარი, 9 მიტინგი და კრება, მსოფლიო სპარტაკიადის ფონდისთვის ფულის მოკრება ორჯერ, 19 თათბირი დინამოელთა მუშაობის გამოცდილების გავრცელების მიზნით“.

ასევე წარმატებით ჩაიარა, ვთქვათ, 1936 წელს 11 ქალიშვილის ქვეითმა გადასვლამ თბილისიდან ბაქოში, რომელიც კომკავშირის X ყრილობას მიეძღვნა. ლაშქრობის კომანდორის, დინამოელი ვ. სტაროვის დღიურში ვკითხულობთ: „ბაქოში ჩასვლამდე ჩავატარეთ 18 მიტინგი-კრება, რომლებსაც სულ 2500 კაცი დაესწრო“.

ვიმეორებთ, ყველა ასეთი ღონისძიება დაკავშირებული იყო განსაზღვრულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კამპანიებთან. ყველაფერი აგიტაციის ამოცანას ემსახურებოდა. თანაც, ასეთი გადასვლა და გადარბენა საკმაოდ ბევრი იყო. ამიტომ საჭიროდ არ მივაჩნია ჩავდიოთ ყოველი ამ ღონისძიების პოლიტიკურ-საავიტაციო მნიშვნელობას, ჩამოვთვლით მხოლოდ მათგან რამდენიმე ყველაზე საყურადღებოს.

1931 წელი. ლაშქრობა აფრიანი ნავებით მარშრუტით ბათუმი — სევასტოპოლი — ბათუმი; მოტოგადარბენა: თბილისი — ერევანი — თბილისი; ველოგადარბენა: თბილისი — დონის როსტოვი — ხარკოვი — დნეპროპეტროვსკი — სევასტოპოლი — ნოვოროსიისკი — სოჭი — სოხუმი — სამტრედია — თბილისი.

1932 წელი. ველოგადარბენა: თბილისი — ბორჯომი — ახალციხე — ბათუმი — ფოთი — სოხუმი — სოჭი — იალტა — სიმფეროპოლი — დნეპროპეტროვსკი — ხარკოვი — კურსკი — მოსკოვი — დონის როსტოვი — ორჯონიკიძე — თბილისი.

1937 წელი. საცხენოსნო გადასვლა: თბილისი — სოხუმი — თბილისი.

1951 წელი. მოტოგადარბენები: თბილისი — გორი — ხაშური — ბორჯომი — ახალციხე — ვალე — თბილისი და თბილისი — სტალინგრადი — ვოლგა-დონის არხი — ციმლიანსკის ჰესი — სამხრეთ უკრაინის არხი — — კახოვკის ჰესი — ჩრდილოეთ ყირიმის არხი — თბილისი.

მაგრამ ჩვენ წინ წავედით, ვინაიდან აღარ გვინდოდა დავბრუნებოდით საქართველოს დინამოელთა საშეფო და საავიტაციო-პოლიტიკურ მოღვაწეობას (ომის პერიოდის გამოკლებით). ჯერჯერობით 1932 წელი იყო. იწყებოდა ახალი პერიოდი.

შ. ამნიაშვილი,

ვ. მდივანი.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო“ № 72.

1932 წელი. ველოგადარბენა მარშრუტით თბილისი — მოსკოვი — თბილისი. მონაწილენი მცხეთაში, სვეტიცხოველთან.

1933 წელი. ფუშბოლი (ინგლისური სიტყვა. ნიშნავს ბურთის ხელის კვრით გორებას) „დინამოს“ ძველ სტადიონზე.

თბილისის ფიზკულტურისა და

სპორტის კომიტეტში

თბილისის მწვრთნელ-მასწავლებელთა 1973 წლის დამატებითი ატესტაციის გრაფიკი

ნიჩბოსნობა	16 აპრილი
ცხენოსნობა, თანამედროვე ხუთჭიდი	17 აპრილი
სასტენდო სროლა, ტყვიის სროლა, მშვილდოსნობა	17 აპრილი
ძალოსნობა	20 აპრილი
კრივი	24 აპრილი
ფრენბურთი	25 აპრილი
ველოსპორტი, ავტო-მოტოსპორტი	26 აპრილი
მთამსვლელობა, მეკლდეურობა, ტურიზმი	27 აპრილი
მძლეოსნობა	27 აპრილი
აფროსნობა, წყალსამოტორო სპორტი, საწყლოსნო თხილამურები	4 მაისი
კალათბურთი	7 მაისი
ხელბურთი, რეგბი	8 მაისი
ფარიკაობა	8 მაისი
ჭადრაკი, შაში	10 მაისი
ჭიდაობის ყველა სახეობა	10 მაისი
ზამთრის სახეობები	10 მაისი
წყალბურთი	10 მაისი
სპორტული და მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა, ბატუტი	11 მაისი
ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი	11 მაისი
ცურვა, წყალში ხტომა	15 მაისი
ფეხბურთი	15 მაისი

ატესტაცია ჩატარდება ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტში (კონსტიტუციის ქ. № 6) 14 საათიდან.

[illegible]

◆ თბილისი

150-ე საშუალო სკოლის სპორტდარბაზში გაიმართა ორჯონიკიძის რაიონის საწარმოთა და საპროექტო ინსტიტუტთა კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივების ტურნირი, რომელშიც 11 გუნდი ასპარეზობდა. წარმატებას მიაღწია საქსახწყალპროექტის ნაკრებმა. მან ფინალში ტრიკოტაჟის ფაბრიკის გუნდი დაამარცხა — 64.57. გამარჯვებულთაგან თავი გამოიჩინეს გ. აჩბამ და თ. სუხანსკიმ.

ა. გურაშვილი,

საქსახწყალპროექტის ფიზკულტურის ინსტრუქტორი-მეთოდისტი.

◆ ლაგოდეხი

ჩატარდა ბავშვთა სპორტსკოლის კალათბურთელთა ტურნირი გარდამავალ თასებზე. გოგონათა შორის იმარჯვეს ნინიგორელებმა. ფინალში მათ დაამარცხეს აფენის საშუალო სკოლის გუნდი ანგარიშით 18:10. ჭაბუკებში I ადგილი დაისაკუთრა ლაგოდეხის ი. ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის გუნდმა.

ჯ. ჯიბლაძე,

სპორტსკოლის დირექტორი.

გაიმარჯვეს მკერავებმა

ქალთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა „განთიადის“ აჭარის საოლქო საბჭოს VI სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ტყვიის სროლა, ჭადრაკი და შაში. სპარტაკიადაში 350-ზე მეტმა ფიზკულტურელმა ქალმა მიიღო მონაწილეობა.

13 გუნდიდან საერთო ჩათვლაში ყველაზე ძლიერი გამოდგა ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების კოლექტივი. ამ გუნდმა I ადგილები დაიკავა კალათბურთსა და ჭადრაკში, II ადგილები — ტყვიის სროლასა და შაშში, ფრენბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში კი მესამე იყო.

ცხარე ბრძოლა გაჩაღდა II ადგილისთვის. ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნისა და ტყავის საწარმოო გაერთიანების გუნდებმა ქულები თანაბრად დააგროვეს. მოპოვებული საპრიზო ადგილების რაოდენობამ უპირატესობა მენავთობეებს მიანიჭა.

ბათუმის გემსაშენი და მექანიკური ქარხნების, მე-5 სამშენებლო ტრესტის და ცენტრალური ნავთობგადასატვირთი ბაზის ფიზკულტურის კოლექტივებმა მოჭადრაკეთა, ფრენბურთელთა და კალათბურთელთა გუნდები ვერ გამოიყვანეს, ხოლო საყოფაცხოვრებო მანქანების ქარხნის კოლექტივი სარბიელზე საერთოდ არ გამოსულა.

(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

ფეხბურთი
ფეხბურთი
ფეხბურთი
ფეხბურთი

- ყველა თამაში მასპინძლებმა მოიგეს
- „დოუ, დოუ, დოუ, ნანა" და სხვა შეძახილები
- შემოდგომაზე განაახლებენ
- სამი გუნდი — 13-13 ქულით

ევროპული ტურნირები

12 აპრილს გაიმართა ევროპული საფეხბურთო ტურნირების პირველი ნახევარფინალური შეხვედრები. ყველა მატჩში წარმატება მასპინძლებს ხვდათ წილად.

ჩემპიონთა თასი

„აიაქსი" (ამსტერდამი, ჰოლანდია) — „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) 2:1

„იუვენტუსი" (ტურინი, იტალია) — „დერბი ქაუნთი" (ინგლისი) 3:1

თასების მფლობელთა თასი

„მილანი" (იტალია) — „სპარტა" (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) 1:0

„ლიდს იუნაიტედი" (ინგლისი) — „ჰაიდუკი" (სპლიტი, იუგოსლავია) 1:0

უეფა-ს თასი

„ბორუსია" (მენჰენგლადბახი, გფრ) — „ტვენტე" (ენსხედე, ჰოლანდია) 3:0

„ლივერპული" (ინგლისი) — „ტოტენჰემ ჰოტსპური" (ლონდონი, ინგლისი) 1:0

რით გავამხნეოთ ჩვენები?

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის გახსნის დღეს, 7 აპრილს, ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა გ. ყიფშიძის წერილი „რით გავამხნეოთ ფეხბურთელები?". ავტორი აღნიშნავდა, რომ ყველა ქვეყანაში, სადაც კი ფეხბურთია დანერგილი, გულშემატკივრებს თავიანთი გუნდების მხარდაჭერისთვის აქვთ გამამხნევებელი, წამაქეზებელი შეძახილები. ეს ორგანიზებული, კოლექტიური მხარდაჭერა აღწევს ადრესატს, იქნება ის ფეხბურთელი თუ ჰოკეისტი, და, რა თქმა უნდა, გარკვეულ ეფექტსაც იძლევა. რუსეთში, კერძოდ, საყოველთაოდ მოიკიდა ფეხი „შაიბუ" და „მოლოდცი". ამ შეძახილების გარეშე იქ ახლა ვერც წარმოუდგენიათ გულშემატკივრობა.

გ. ყიფშიძის წერილმა სპორტის მოყვარულთა დიდი გამოხმაურება გამოიწვია. რედაქციაში მოდის და მოდის წერილები, სადაც მკითხველები ერთსულოვან აზრს გამოთქვამენ: მართლაც, ვსხედვართ ტრიბუნებზე, ვუსტვენთ, გავყვირით გაუგებარ სიტყვებს და ვერავინ გაიგებს, ვისი მისამართითაა ეს ყველაფერი გამოთქმული, ვისი მხარდამჭერნი ვართ — ჩვენების, თუ მეტოქისა, ასეთი ხმაური წესრიგის დარღვევა უფროა, ვიდრე ქომაგობა.

მკითხველთა უმეტესობა იმ აზრისაა, რომ ის შეძახილებიც, რომლებიც ფეხს მოიკიდებენ და დამკვიდრდებიან ჩვენს სტადიონზე, ორ კატეგორიად უნდა დაიყოს, როგორც რუსეთშია. იქ „შაიბუ" გამამხნევებელია საერთოდ, „მოლოდცის" კი მიმართავენ მაშინ, როცა გუნდი იმარჯვებს და დაწინაურებულია.

ვფიქრობთ, მკითხველთათვის უინტერესო არ იქნება გაეცნონ, თუ რა წინადადებები აქვთ გულშემატკივრებს, რა გამამხნევებელ შეძახილებს გვთავაზობენ.

უმრავლესობას სურს შეძახილად დავამკვიდროთ „ლელო". რა თქმა უნდა, ამ სიტყვას არავითარი კავშირი არა აქვს გაზეთის სახელწოდებასთან. ცნება „ლელო", „ლელოს გატანა" ჩვენში იმთავითვე გამოხატავდა გამარჯვებას, ძლევის სიმბოლოს, კეთილხმოვანია და კარგადაც ჟღერს. ამ შეძახილს გვთავაზობენ ფეხბურთის მოყვარულნი — თბილისელები თ. და ნ. ჭკუასელები, ა. მერაბიშვილი, გ. ყიფიანი, გ. ხეხელაშვილი, ი. შავებოვი, ს. ლომინაძე, ა. კარტოზია, ო. სხირტლაძე, გ. ლეკიშვილი, ბათუმელი ი. ჯაფარიძე, ქუთაისელები ბ. ძნელაძე, ო. სვინტრაძე, გ. ბუცხრიკიძე, გორელი თ. სვანიძე, ხარაგაულელი ა. გოგოლაძე, ახმეტელი დ. სიმონიძე და ბევრი სხვა.

წერილების მიმოხილვა

ზოგიერთ წერილში სპორტის მოყვარულნი იშველიებენ ა. კიკნაძის წიგნს „თამასიბის თილისმას", სადაც ლაპარაკია ქართველებისა და ბასკების ნათესაობაზე. თურმე, ბასკები თავიანთ გამარჯვებას ასევე აგვირგვინებენ ძველი იბერიული შეძახილით — ლელო!

თბილისელი გ. ლეკიშვილი გვთავაზობს ორ ვარიანტს: ლელოს და ლილეს, ეს უკანასკნელიც კარგად იმარცვლება და „მზეს" ნიშნავსო.

ქართველ სამხედრო მსახურთა ერთი ჯგუფი ამჯობინებს ორგვარ შეძახილს: „ა-ბა-ჰე" და „სულ ა-სე".

თბილისელი მოსწავლე გ. კუტალაძე გვთავაზობს „მო-გე-ბას", ჯ. უთრუთაშვილი (წითელი წყარო) კი სამ ვარიანტს: „ყო-ჩაღ", „შე-ტე-ვა" და „ბურ-თი". მას მხარს უჭერს თბილისელი ფ. ოცხელი ასეთი კორექტივით: „ყოჩაღ, ბიჭებო!".

გურჯაანელმა ქ. ქებედმაგაბედოვმა აირჩია „ჰაი-და, ჰაი-და".

თბილისელ ზ. პეტრიაშვილს შეძახილად ურჩევნია „დი-ნა-მო", როცა, რასაკვირველია, ჩვენი გუნდები ასეთივე სახელწოდების მეტოქეებს არ ხვდებიან.

თბილისელი ი. ხითარიშვილის აზრით, კარგი იქნებოდა თუ დავუწესებდით ორ ასეთ შეძახილს: „ქი-ში" და „შა-მა-თი".

თბილისელი ა. კაიშაური გვთავაზობს სპორტსმენები გავამხნეოთ ძახილით „ვაჟ-კაც"!.

ნ. გურგენიძეს (თბილისი) გულშემატკივართა სამსჯავროზე ასარჩევად გამოაქვს შეძახილის რამდენიმე ვარიანტი: „ვა-შა", „ბი-ჭე-ბო", „გაგ-ვახა-რეთ", „მო-გე-ბა".

საინტერესო წინადადება აქვს ქუთაისელ ქ. ქართველიშვილს. მისი აზრით, ძალიან კეთილხმოვანი, გამამხნევებელი და ემოციურია „დოუ, დოუ, დოუ, ნანა".

თბილისელი პენსიონერი გ. ჩუხრუკიძე მიიჩნევს, რომ გამხნევება სჭირდებათ არა მარტო ფეხბურთელებს, არამედ, ვთქვათ, მოჭიდავეებსაც და ამიტომ ურიგო არ იქნებოდა, თუ მათთვის შემოვიღებდით ძახილს „სარ-მა, სარ-მა".

ერთი სიტყვით, მაყურებელს სურს იყოს ორგანიზებული პატრიოტი და სტვენის მაგივრად საქმით მოახმაროს თავისი სიმპათიები სპორტსმენებს რაღა გვეთქმის, კეთილი და საჭირო საქმეა. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა შეძახილი მოიკიდებს ფეხს ჩვენი სტადიონების ტრიბუნებზე.

„ლელოს" მიმომხილველი.

ზეიმი მოჭადრაკეთა მუზაზე

ხვალ თბილისში, კიროვის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, საზეიმოდ გაიხსნება ჭადრაკის სასახლე — ახალი საჭადრაკო კლუბი. ხუროთმოძღვრებმა და მშენებლებმა მასში ბრძნული თამაშისადმი უდიდესი სიყვარული და ღრმა პატივისცემა ჩააქსოვეს.

საქართველოს მოჭადრაკეებმა ეს უძვირფასესი საჩუქარი თავიანთი ნიჭითა და თვალსაჩინო გამარჯვებებით დაიმსახურეს. მათ შორის გაიტანეს ქართული ჭადრაკის უძველესი კულტურა. პირველ ყოვლისა, ეს ნონა გაფრინდაშვილზე ითქმის. სწორედ ამიტომ, სასახლის გახსნა და მსოფლიო პირველობაში ნონას მეოთხე გამარჯვება ერთად აღინიშნება.

უცქერი ჭადრაკის ამ დიდებულ სასახლეს და ჟამთააღმწერელთა ნაამბობი გახსენდება. ეს ამ სასახლის ისტორიაა.

არავინ იცის, პირველად როდის გამართა ჩვენმა მამა-პაპამ ჭადრაკის სათამაშო დარბაზი. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში არის სიტყვა „სამორინე" — ნარდისა და ჭადრაკის სათამაშო ადგილი. იქნებ XVIII საუკუნეში, როცა ეს დიდი ქართველი მოღვაწეობდა და ჭადრაკი საერთო სიყვარულით სარგებლობდა, მართლაც იყო სამორინე.

მატიანეში ვკითხულობთ, რომ ქართველთა ოჯახებში უყვარდათ ეს ბრძნული თამაში. XIX საუკუნის გამოჩენილი პოეტის ა. ჭავჭავაძის სალონში სტუმრები ჭადრაკითაც ერთობოდნენ. 70-ან წლებში, მ. ჩიგორინის საჭადრაკო ჟურნალის ცნობით, ტურნირები და მატჩები თბილისში ოჯახებში იმართებოდა, საუკუნის დამლევს კი მოჭადრაკეები უკვე არტისტული საზოგადოების კლუბში პაექრობდნენ.

რევოლუციური მოძრაობით დაშფოთებულ მეფის მოხელეებს მოჭადრაკეთა კლუბის გაგონებაც არ სურდათ. ამიტომ თბილისელი ჭადრაკის მოყვარულები „ქართულ კლუბში" იკრიბებოდნენ. სწორედ აქ უნახავთ საჭადრაკო ბრძოლით გართული აკაკი წერეთელი.

კლუბი მოჭადრაკეებს არც მერე ჰქონიათ. ახალგახსნილი თბილისის უნივერსიტეტის I ჩემპიონატი (1919 წ.) სტუდენტებმა თავიანთ სასადილოში (ლენინის მოედანზე, სადაც ახლა ოპტიკის მაღაზიაა) გამართეს.

ნანატრი სამორინე მოჭადრაკეებმა მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიიღეს. 1923 წელს „ზაფხულის პარკში" (იქ, სადაც ამჟამად წიგნის სასახლეა) მოჭადრაკეებს სათამაშო ადგილი გამოეყოთ. მალე „არტოს პარკში" (ახლა რომ პლეხანოვის პროსპექტზე დიეტური სასადილოა, მის გვერდით, ბაღში) გადასახლდნენ.

1926 წელს თბილისში 600-კაციანი მასობრივი ტურნირი გაიმართა. შეჯიბრებას ისეთი ფართო რეზონანსი ჰქონდა, რომ საჭადრაკო კლუბის გახსნა გადაუდებელ საქმედ იქცა. 1927 წელს სამხედრო ტაძრის შენობაში (ახლა ამ ადგილზე საქართველოს სსრ მთავრობის სახლია) მოჭადრაკეებს ორი ოთახი დაუთმეს. მაგრამ სულ მალე ნათელი შეიქნა, რომ ეს სამორინე საკმარისი არ იყო. იმავე წლის დამლევს მოჭადრაკეებს გადაეცათ რუსთაველის პროსპექტისა და ყოფილი სამხედრო ქუჩის კუთხეში მდგარი სახლის (ახლა იქ ტელეგრაფის შენობა შენდება) პირველი სართული. ამ კლუბს თავს ევლებოდნენ საზოგადო მოღვაწენი, მწერლები, მსახიობები... ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ მის ცხოვრებაში. 1928 წელს სწორედ აქ ჩატარდა საქართველოს ვაჟთა I ჩემპიონატი, 1930 წელს კი ვ. გოგლიძემ სძლია მოსკოველ ოსტატ ვ. ნენაროკოვს და ქართველთაგან პირველმა მოიპოვა ჭადრაკის ოსტატის წოდება.

მალე ამ მყუდრო კლუბმაც აღარ იკმარა. 1931 წელს მოჭადრაკეებს უფრო მოზრდილი ბინა — დღევანდელი რესტორანი „თბილისის" (სასტუმრო „თბილისში") ვესტიბიული გადაეცათ. აქ შესაძლებელი გახდა ოსტატთა ტურნირების გამართვა. 1934 წელს კლუბმა უმასპინძლა ახალგაზრდა საბჭოთა ოსტატთა ტურნირს, რომელშიც ავსტრიელი ოსტატი ჰ. კმოხიც მონაწილეობდა.

თბილისი ამიერკავკასიის ჭადრაკის მექად იქცა და კლუბი კვლავ „დაპატარავდა". ამ დროს ჭადრაკის მესვეურნი ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მასპინძლობაზე ოცნებობდნენ.

1936 წელს თბილისში ახალი საჭადრაკო კლუბი გაიხსნა რუსთაველის პროსპექტზე. ეს ის კლუბია, რომელიც დღემდე ერთგულად ემსახურებოდა თბილისელ მოჭადრაკეებს. 37 წლის მანძილზე ეს კლუბი სისხლსავსე საჭადრაკო ცხოვრების სარბიელი იყო. დიდ ჭადრაკში აქედან გაიკაფეს გზა ნ. გაფრინდაშვილმა, ნ. ალექსანდრიამ, ტ. პეტროსიანმა, ბ. გურგენიძემ და სხვ. 1957 წელს აქ დაარსდა საბჭოთა კავშირში პირველი ბავშვთა სპეციალიზებული საჭადრაკო სკოლა. ბევრი, ძალიან ბევრი გაკეთდა ამ სამორინეში ქართული ჭადრაკის სადიდებლად.

კლუბმა გულშემატკივრები პირველად 1956 წელს ვერ დაიტია. ეს მოხდა ქალთა რესპუბლიკური პირველობის დღეებში, როცა პატარა ნონა თამაშობდა. მაშინ მოჭადრაკეებს დახმარების ხელი რუსთაველის სახელობის თეატრმა გაუწოდა: საქართველოს პირველობებს, საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თავისი მცირე დარბაზი დაუთმო. ერთხელ, 1969 წელს, მსახიობები თავად მცირე დარბაზში გადავიდნენ, დიდ დარბაზში ნონა გაფრინდაშვილს მსოფლიო პირველობისთვის რომ ებრძოლა.

1962 წლიდან თბილისი ჭადრაკის დედოფლის სატახტო ქალაქიცაა. ეს ცოტას როდი ნიშნავს. ცხოვრებამ ახალი კლუბის აგების საკითხი დააყენა. საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს მშენებლობის დაწყება. ამ საშვილიშვილო საქმეს მონდომება არავინ დააკლო. ჩვეულებრივი კლუბის ნაცვლად საქართველოს მოჭადრაკეებს ნამდვილი ჭადრაკის სასახლე აუშენეს.

ქართული ჭადრაკის ისტორიაში ახალი, ღირსსახსოვარი თავი იწყება!

თ. გიორგაძე,

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, საერთაშორისო არბიტრი.

• • •

სურათზე: ჭადრაკის სასახლის ხედი.

გ. კიკვაძის ფოტო (საქდესი).

ვეტერანის პრიზზე

შედგა შ. შავგულიძის სახელობის რესპუბლიკური გათამაშების პირველი წრის დასკვნითი შეხვედრები.

სამტრედიის „ლოკომოტივმა" ანგარიშით 2:0 სძლია გორის „დილას", მაგრამ შემდეგ წააგო მახარაძის „მერცხალთან" — 0:1.

ლანჩხუთ... „გურიისა" და ფოთის „კოლხეთის" შეხვედრაში წარმატება ლანჩხუთელებს ხვდათ — 2:0.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ლიდერების — სოხუმისა და ბათუმის დინამოელთა შეხვედრამ. დაძაბულ ბრძოლაში სოხუმელებმა გაიმარჯვეს — 1:0.

ახლა საქართველოს „ა" კლასის, II ლიგის ფეხბურთელები საკავშირო გათამაშებაში ჩაებმებიან და შ. შავგულიძის პრიზზე ბრძოლას გვიან შემოდგომაზე განაახლებენ.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 აპრილისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (სოხ.)	6	6	0	19—12	9
„დინამო" (ბათ.)	6	5	1	18—12	8
„ლოკომოტივი"	6	3	3	13—10	6
„გურია"	6	2	4	6—10	4
„მერცხალი"	6	2	4	19—21	3
„დილა"	6	2	4	23—26	3
„კოლხეთი"	6	1	5	6—13	2

გუშინ

რუსთავის „მეტალურგის" სტადიონზე შედგა თბილისისა და კიევის „დინამოს" დუბლიორთა კალენდარული მატჩი. თამაში დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით — 2:1. ისინი მატჩის დასასრულისთვის წინ იყვნენ ანგარიშით 2:0. ბოლო წუთზე მათს კარში დაინიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად გამოიყენა მჭედლიშვილმა.

თბილისის „დინამო" ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: ჩლაიძე, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ნატროშვილი (ნაცვლიშვილი), ხინჩაგაშვილი (გოგოლაშვილი, შერაზადიშვილი), კოპალეიშვილი, გოგიჯანაშვილი, გ. მაჩაიძე, კუტივაძე, მჭედლიშვილი, წერეთელი.

მოზარდთა ტურნირი

მოგვყავს მოზარდ ფეხბურთელთა რესპუბლიკური პირველობის განვლილ შეხვედრათა შედეგები: ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თელავი) — „დინამო" (სოხუმი) 1:0, „კოლხეთი" (ფოთი) — „მერცხალი" (მახარაძე) 5:0, „განთიადი" (თბილისი) — „ავაზა" (თბილისი) 2:1, ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) — „სპორტინტერნატი" (თბილისი) 7:1, „დილა" (გორი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 0:1, „გურია" (ლანჩხუთი) — განათლების განყოფილება (თბილისი) 0:2.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო"	8	6	1	1	22—4	13
გან. განყ. (თბ.)	7	6	1	0	17—1	13
„დინამო" (ბათ.)	8	5	3	0	15—3	13
ახ. საფ. სკოლა (თბილისი)	8	5	2	1	19—3	12
„დინამო" (თბ.)	7	5	1	1	12—4	11
„ავაზა"	8	3	3	2	14—7	9
„კოლხეთი"	8	3	2	3	12—7	8
„დილა"	8	3	2	3	7—10	8
„გურია"	8	3	1	4	9—7	7
„განთიადი"	6	3	1	2	7—9	7
ახ. საფ. სკოლა (თელავი)	8	3	1	4	8—20	7
„სპორტინტერნ."	7	3	0	4	8—15	6
„მერცხალი"	8	1	4	3	5—14	6
„დინამო" (სოხ.)	7	2	1	4	6—11	5
ახ. საფ. სკოლა (გაგრა)	8	0	4	4	2—13	4
მწვრთნ. სკოლა	8	0	3	5	4—13	3
„მეტალურგი"	8	0	3	5	5—20	3
„ლოკომოტივი"	6	0	1	5	1—12	1

ისევ საბჭოთა დიდოსტატი

ლას-პალმასი, 12 აპრილი. საბჭოთა დიდოსტატი ლ. შტეინი ლიდერობას განაგრძობს ესპანეთის ამ ქალაქში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში. მას 5,5 ქულა გაუხდა VIII ტურში ლ. კავალეკთან (აშშ) ყაიმის შემდეგ.

შეჯიბრების მეორე საბჭოთა მონაწილემ — მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა ამ დღეს ყაიმით დაამთავრა შეხვედრა უ. ანდერსონთან (შვეცია). პეტროსიანმა 4,5 ქულა მოაგროვა. ამდენივე ქულა აქვთ კავალეკს, ანდერსონს და პანოს (არგენტინა). მათს და ლიდერს შორის არიან ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), ფ. გეორგიუ (რუმინეთი), ზ. რიბლი (უნგრეთი), ლ. ლიუბოევიჩი (იუგოსლავია) — 5-5.

VIII ტურში რიბლიმ სძლია კ. დარგას (გფრ), ლიუბოევიჩმა — ბ. ხუგს (საფრანგეთი). ყაიმზე შეთანხმდნენ პანო — გეორგიუ, რ. კალვო (ესპანეთი) — ჰ. რეე (ჰოლანდია), დ. კორალი (ესპანეთი) — ჰორტი. გადაიდო ვ. ხუგ (შვეიცარია) — ე. სეიდის (აშშ) პარტია.

წინა ტურების შეხვედრებში დაზავდნენ კორალი — კავალეკი, რეე — ხუგი და სეიდი — პანო.

პორტიში უტევს

ლიუბლიანა, 12 აპრილი. ცნობილი იუგოსლაველი დიდოსტატის მ. ვიდმარის მემორიალში 7 ტურია გათამაშებული. ლიდერობს ლ. პორტიში (უნგრეთი) — 5 ქულა. ბოლო ორ შეხვედრაში მან ქულანახევარი მოაგროვა: მოუგო თანამემამულე ი. ჩომს და დაუზავდა ბ. ივკოვს (იუგოსლავია).

საბჭოთა დიდოსტატ ა. სუეტინს 4 ქულა აქვს. VI ტურში მან დ. მინიჩს (იუგოსლავია) მოუგო, VII — ივკოვთან წააგო. საბჭოთა ოსტატმა ი. რაზუვაევმა 3 ქულა მოაგროვა. ბოლო ორ ტურში იგი ყაიმს დასჯერდა ი. ბარლეთან (იუგოსლავია) და ჩომთან.

ექვატორი გადალახეს

თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, გრძელდება „დინამოს" ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი, რომელშიც მოსკოვის, რიგის, ტაშკენტის, ტალინის, კიევის, ბაქოსა და თბილისის 13 წარმომადგენელი თამაშობს.

მონაწილეებმა სატურნირო ეკვატორი გადალახეს. 7 ტურის შემდეგ ლიდერობენ მ. ჩიბურდანიძე (თბილისი) — 5 ქულა, ოსტატი ო. იგნატიევა (მოსკოვის ოლქი) — 4,5 (ორივეს — 6-დან), ი. ვევერე (რიგა) — 4,5 ქულა.

თბილისელი მოჭადრაკეებიდან ოსტატ ც. კობაიძეს და ს. კალანდარიშვილს 2,5-2,5 ქულა აქვთ, მ. წერეთელს — 2, მ. ლოლიშვილს — 1,5.

V ტურში ჩიბურდანიძე თავისუფალი იყო. VI ტურში მას მწვავე ბრძოლა გადახდა კალანდარიშვილთან, რომელსაც 67-ე სვლაზე მოუგო. VII ტურში ბაქოელ ე. ალიევასთან მაიამ უპირატესობა ვერ მიიღო, პირიქით, იძულებული შეიქნა ორ ფიგურაში ლაზიერი დაეთმო. შემდგომ მან მეტოქეს დიდი სიძნელეები შეუქმნა და ალიევამ პარტიის გადადებამდე ვერ შეძლო უპირატესობის გამოყენება. გადადებული პარტიის დამთავრებისას, ცაიტნოტში, ალიევა უსწოროდ თამაშობდა და წააგო.

გამოცდილმა იგნატიევამ ბოლო ორი შეხვედრა თ. სტეპანოვასთან (მოსკოვი) და კობაიძესთან ყაიმით დაამთავრა. კობაიძესთან მან ვერ შეძლო უპირატესობის გამოყენება.

აღსანიშნავია ლოლიშვილის გამარჯვება ოსტატ ნ. ტიტორენკოსთან (მოსკოვი) და ი. ვევერესი (რიგა) — ერთ-ერთ ლიდერ ლ. გოლდმანთან (ტაშკენტი).

თ. ნინოშვილი.

ახალი ამბები

● სიმფეროპოლი, 11 აპრილი. მოსკოვის გზატკეცილზე სტარტი აიღო საკავშირო საგაზაფხულო მრავალდღიანმა ველორბოლამ, რომლის შედეგების მიხედვით მწვრთნელები ექვს სპორტსმენს ამოარჩევენ მშვიდობის XXVI ველორბოლაში სასპარეზოდ. უძლიერესი საბჭოთა ველოსიპედისტები და სტუმრები — გდრ-ის ნაკრების წევრები ხუთ დღეს იბრძოლებენ ყირიმის გზებზე. დღეს 141-კილომეტრიან ჯგუფურ რბოლაში (სიმფეროპოლი — კრასნოგვარდეისკოე — სიმფეროპოლი) ყველას აჯობა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, გორკელმა ვ. ლიხაჩოვმა (სსრ კავშირის ნაკრები) — 3:13.11 (ბონიფიკაციის ჩათვლით). II ადგილზეა სტუდენტთა შორის მსოფლიო ჩემპიონი ა. ვასკოვსკი (მოსკოვის „ბურევესტნიკი") — 3:13.32, ხოლო III — კუიბიშეველი ა. გუსიატნიკოვი (სსრ კავშირის ნაკრები) — 3:13.43. სტუმართაგან საუკეთესო იყო ვ. კიუნი — 24-ე ადგილი.

● ტაშკენტი, 12 აპრილი. საბჭოთა ქვეყნის უძლიერეს ჩოგბურთელთა აქ მიმდინარე ტურნირი დასკვნით ფაზაში შევიდა: დამთავრდა თამაშები ქვეჯგუფებში. პირველ ქვეჯგუფში წარმატებით ასპარეზობის შემდეგ თბილისელმა თ. კაკულიამ მარცხის სიმწარე იწვნია ნახევარფინალურ შეხვედრაში — ანგარიშით 6:1, 4:6, 6:8, 4:6 წააგო მოსკოველ ა. ვოლკოვთან.

● ტალინი, 12 აპრილი. შემოდგომა-ზამთრის სეზონის შემდეგ თანამედროვე ხუთჭიდის საბჭოთა ოსტატებისთვის ძალთა პირველი შემოწმება აქ გამართული ტრადიციული ტურნირი იყო. კვლავ ისახელეს თავი პირად ჩათვლაში მოასპარეზე უკრაინის წარმომადგენლებმა — მიუნჰენის ოლიმპიადის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორებმა ბ. ონიშჩენკომ, პ. ლედნიოვმა და საბჭოთა ნაკრების წევრმა ლ. ივანოვმა. გაიმარჯვა ონიშჩენკომ (5665 ქულა), II ადგილზეა ლედნიოვი (5538), ხოლო III — ივანოვი (5425). გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო იყო ესტონეთის პირველი ნაკრები — 15908 ქულა.

20 შაიბა ერთ მატჩში

მოსკოვი, 12 აპრილი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში გუშინაც ორი მატჩი შედგა. პირველად ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიისა და გფრ-ის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდები. მე-6 წუთზე გერმანელთა თავდამსხმელი კიუნჰაკლი პირისპირ გავიდა მეკარე ჰოლეჩეკთან და ანგარიში გახსნა. მე-10 წუთზე ფარდამ საპასუხო შაიბა გაიტანა, პირველი პერიოდის მიწურულს კი ხორეშოვსკიმ რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები დააწინაურა.

მეორე პერიოდში პალეჩეკმა, მახაჩმა და შტიასნიმ კიდევ სამი გოლი გაიტანეს გერმანელთა კარში.

მესამე პერიოდის მე-4 წუთზე ბუბლამ, ხოლო მე-10 წუთზე ნედომანსკიმ ანგარიში შვიდამდე გაზარდეს. მატჩის დამთავრებამდე დარჩენილი იყო წუთი, როცა კიუნჰაკლი კვლავ პირისპირ დარჩა მეკარესთან და მეორედ გამოიყენა კარის აღების შანსი. ამრიგად, ანგარიშით 7:2 გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიის გუნდმა. შვიდი გაშვებული გოლის მიუხედავად, კარგად ითამაშა გფრ-ის ნაკრების მეკარე მერკლემ.

საღამოს სსრ კავშირის ნაკრები პოლონეთის გუნდს ეთამაშა. გაიმარჯვეს საბჭოთა ჰოკეისტებმა მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატის სარეკორდო ანგარიშით — 20:0 (6:0, 5:0, 9:0). შაიბები გაიტანეს: მიხაილოვმა (7), პეტროვმა (5), ბოდუნოვმა, ხარლამოვმა, ანისინმა (2-2), მალცევმა და იაკუშევმა.

მიხაილოვმა მიმდინარე ჩემპიონატის რეკორდიც დაამყარა — ზედიზედ ოთხი შაიბა გაიტანა.

დღეს ყინულის სარბიელზე პირველნი გამოვიდნენ შვეციისა და გფრ-ის გუნდები. შვედებმა იოლად სძლიეს მეტოქეს — 12:1 (2:1, 6:0, 4:0). თავი გამოიჩინა ახალგაზრდა თავდამსხმელმა ნილსონმა, რომელმაც სამჯერ აიღო მეტოქის კარი.

საღამოს ფინელები პოლონეთის გუნდს შეხვდნენ. ამ მატჩის შედეგი — 1:1 (1:0, 0:1, 0:0) სენსაციად შეიძლება ჩაითვალოს: პოლონელები შეუპოვრად თამაშობდნენ და ქულა ბართვეს გამოცდილ მეტოქეს, თანაც ფინელთა კარის აღების რამდენიმე კარგი შანსი ვერ გამოიყენეს.

მოსკოვი, 13 აპრილი. დღეს ყინულის სარბიელზე პირველნი გამოვიდნენ შვეციისა და ფინეთის გუნდები. გაიმარჯვეს შვედებმა — 2:1 (0:1, 1:0, 1:0).

● ●

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	შ.	ქ.
სსრკ	8	8	0	0	90—12	16
შვეცია	9	7	1	1	49—17	15
ჩეხოსლოვაკია	8	5	1	2	38—16	11
ფინეთი	9	3	1	5	24—31	7
გფრ	9	1	0	8	18—78	2
პოლონეთი	9	0	1	8	10—75	1

შენიშვნა: ცხრილში შეტანილი არ არის სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების გუშინდელი მატჩის შედეგი.

საჩემპიონო წოდებას დაემშვიდობა

სარაევო, 13 აპრილი. მაგიდის ჩოგბურთში წინა მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს ლაურეატი ს. ბენგტსონი (შვეცია) დაემშვიდობა საჩემპიონო წოდებას: აქ მიმდინარე მსოფლიო პირველობის მეთექვსმეტედფინალში მარცხის სიმწარე იწვნია მოსკოველ ს. გომოზკოვთან ორთაბრძოლაში. საბჭოთა კავშირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა: 21:17, 21:23, 21:17, 23:25, 21:9.

მეოთხედფინალში გასასვლელად იბრძოლებენ, აგრეთვე, ბათუმელი ს. სარხოიანი და ერევნელი ბ. ბურნაზიანი. სტუდენტთა შორის აბსოლუტურმა მსოფლიო ჩემპიონმა სარხოიანმა მანამდე უელსელ ბ. ევერსონს სძლია — 21:19, 21:11, 21:8.

ვაჟთა შეჯიბრების სენსაციებს თუ გავიხსენებთ, პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს 28 წლის ნაკლებად ცნობილი ჩოგბურთელის დ. ნიილის მოგება იაპონიის ექვსგზის ჩემპიონთან, მსოფლიოს 1967 წლის ჩემპიონ ნ. ხასეგავასთან — 3:2.

მედლებისთვის ბრძოლას გამოეთიშნენ ლვოველი ა. სტროკატოვი და ტარტუელი რ. ლინდმიაე.

ოთხი საბჭოთა ჩოგბურთელი ქალიდან შეჯიბრებას სამი განაგრძობს. მხოლოდ კაუნასელი ა. გედრაიტიტე აღმოჩნდა „თამაშგარე მდგომარეობაში" — ევროპის 1966 წლის ჩემპიონთან, სახელგანთქმულ რუმინელ სპორტსმენ მ. ალექსანდრუსთან წააგო — 2:3.

სსრ კავშირის ექს-ჩემპიონმა რ. პოლოსოვამ (ერევანი) შვედ ა.-კ. ჰელმანს სძლია — 21:16, 21:16, 23:21. გამარჯვებულის თანაქალაქელმა, სსრ კავშირის ჩემპიონმა გოგონათა შორის ე. ანტონიანმა მოუგო გფრ-ის პირველ ჩოგანს ვ. ჰენდრიკსენს — 3:1. სსრ კავშირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა ზ. რუდნოვამ (მოსკოვი) იოლად დაჯაბნა ამერიკელი კეიში — 3:0.

სსრ კავშირის პირველობა

მიზანთან ახლოს

„ა" კლასის I ჯგუფის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო პირველობა დასასრულს მიუახლოვდა. შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე ტურნირში მონაწილე ექვსი გუნდიდან სამს (ლენინგრადის „ბოლშევიკს", მინსკის „პოლიტექნიკს" და ხარკოვის „მეტალისტს") უმაღლეს ლიგაში გადასვლის უკვე არავითარი პრაქტიკული და თეორიული შანსი აღარ აქვს. ამ ლიგის საგზურის ბედი „ბურევესტნიკს", ტირასპოლის გუნდსა და ლვოვის ასკ-ს შორის უნდა გადაწყდეს. ვინ გახდება გაისად უმაღლესი ლიგის ბინადარი?

ყველაზე უკეთ თბილისელებს აქვთ საქმე — მათ 25 ქულა დააგროვეს. ტირასპოლელებს 23 ქულა აქვთ, ლვოველებს — 20. ჩვენებმა მეორე წრის მეორე ტურში დაამარცხეს „პოლიტექნიკი" — 26:22 (17:12), მესამე ტურში კი „ბოლშევიკი" — 22:20 (14:10).

„პოლიტექნიკთან" მატჩში მასპინძლები ერთთავად 8-10 ბურთით იყვნენ წინ. შეხვედრის ბოლოს, როცა გამარჯვება უკვე უზრუნველყოფილი ჰქონდათ, თბილისელები ერთგვარად მოდუნდნენ და მეტოქეს სხვაობის შემცირების საშუალება მისცეს.

რაც შეეხება „ბოლშევიკთან" შეხვედრას, პირველი ტაიმის 24-ე წუთზე ჩვენები მატჩს იგებდნენ ანგარიშით 11:4. ამ დროს დაშავდა გუნდის დაცვის ბურჯი და კაპიტანი ა. ექსეულიძე, რომელმაც ხუთიოდე წუთით დატოვა მოედანი. სწორედ ამ მომენტში თბილისელთა დაცვის რიგებში ურთიერთმოქმედება დაირღვა და მეტოქეებმა ანგარიშში სხვაობა სამ გოლამდე შეამცირეს. თამაშის სტენოგრამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თბილისელებმა მატჩის პირველი მესამედი შესანიშნავად ჩაატარეს. ჩვენს ხელბურთელებს ყველაფერი გამოსდიოდათ, სწრაფი გარღვევები და დაცვაში დროზე დაბრუნება... შემდეგ კი საათივით აწყობილ თამაშში ჯერ ბზარი გაჩნდა, მერე კი სულ წახდა საქმე. ხშირი იყო უმისამართო გადაცემები, კარისკენ ბურთის მოუმზადებლად ტყორცნა, დაცვაში ერთობ უყურადღებო თამაში, ცხადია, ასეთ ვითარებაში მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მიეცა — 15:15, 16:16...

როცა საათის მექანიზმი იშლება, მას კარგი მესაათე სჭირდება. თამაშის მიწურულს სწორედ ეს როლი შეასრულეს მოედანზე — ა. ექსეულიძემ და მოედნის გარეთ — გუნდის მწვრთნელმა ჯ. ბაგრატიონმა. პირველმა შეძლო თანაგუნდელთა აყოლიება, ხოლო მეორემ მოთამაშეთა უაღრესად საჭირო და გამართლებული შეცვლით ჩვენი გუნდი წაგებას გადაარჩინა.

ერთი სიტყვით, არასასურველ შედეგს გადავურჩით. რატომღაც ჩვენს მოთამაშეებს დაავიწყდათ ერთი უდავო ჭეშმარიტება, რომ შეხვედრა 60 წუთისგან შედგება და ყოველ გუნდთან, რა ძალისაც უნდა იყოს ის, სამოცივე წუთი სრული პასუხისმგებლობით უნდა ითამაშო.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: 11 აპრილი. „მეტალისტი" — „ბოლშევიკი" 19:18 (7:8), ასკ — ტირასპოლის გუნდი 25:26 (13:10). 12 აპრილი. „მეტალისტი" — ასკ 23:21 (12:7), „პოლიტექნიკი" — ტირასპოლის გუნდი 30:36 (15:14).

გუშინ ტურნირის მონაწილენი ისვენებდნენ, დღეს ბოლოსწინა ტურია. თბილისელები ხვდებიან ტირასპოლის გუნდს და ალბათ ეს მატჩი გამოარკვევს საკავშირო პირველობაში გამარჯვებულის ვინაობას.

გ. ირინაული.

ოლიმპიური სისტემით

წალენჯიხაში სტარტი აიღო მოსწავლეთა რაიონულმა სპარტაკიადამ, რომლის პროგრამაშიც 8 სახეობაა შეტანილი. ასპარეზობა მოჭადრაკეთა გუნდური პირველობით გაიხსნა. თითოეულ კოლექტივში ორი ბიჭი და ერთი გოგონა შედიოდა.

თექვსმეტი საშუალო სკოლის მოჭადრაკეებმა შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღეს. დამარცხებული გუნდი შეჯიბრებას ეთიშებოდა.

I ადგილი წალენჯიხის მე-2 საშუალო სკოლის გუნდმა (რ. ლუკავა, გ. კვარაცხელია, ქ. კვარაცხელია) დაისაკუთრა. II ადგილზე არიან ობუჯელი მოსწავლეები, III — ორჯონიკიძის საშუალო სკოლის წარმომადგენლები.

სპარტაკიადა გრძელდება.

ო. სალია.
(ჩვენი კორ.).

წალენჯიხა.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ჩემპიონატები, მატჩები, არენები

პორტუგალია

გათამაშების XXIV ტურში ლისაბონის „ბენფიკამ", რომელმაც ვადამდე მოიხვეჭა ჩემპიონის წოდება, პირველი ქულა დაკარგა — სტუმრად ფრედ (2:2) ითამაშა „პორტუსთან".

„ბელენენსეშმა" შინ მოუგო „მონტიიოს" — 2:1. სეტუბალის „ვიტორიამ" საკუთარ მინდორზე დიდი ანგარიშით (5:0) სძლია მადრიდის „ატლეტიკოს", ხოლო ლისაბონის „სპორტინგმა" ასევე შინ დაამარცხა „ბოავისტა" — 1:0.

„ბენფიკას" 47 ქულა აქვს. II ადგილზეა „ბელენენსეში" (34 ქულა), III — სეტუბალის „ვიტორია" (29). ამდენივე ქულა აქვს IV ადგილზე მყოფ ლისაბონის „სპორტინგს".

ესპანეთი

XXVII ტურში ბარსელონის „ესპანიოლმა" სტუმრად წააგო თამაში „ვალენსიასთან" (0:1) და ლიდერობა „ბარსელონას" დაუთმო, რომელმაც შინ სძლია ვიგოს „სელტას" — 2:0.

მადრიდის „რეალმა" დაამარცხა „ოვიედო" (2:1), ხოლო მადრიდის „ატლეტიკომ" ასევე შინ — „კასტელონი" (1:0).

„ბარსელონას" 38 ქულა აქვს. მადრიდის „რეალს", ბარსელონის „ესპანიოლსა" და მადრიდის „ატლეტიკოს" 36-36 ქულა აქვთ, ხოლო V ადგილზე მყოფ „მალაგას" — 28.

საფრანგეთი

გათამაშების ლიდერმა „ნანტმა" სტუმრად წააგო „ანჟერთან" — 0:1. „ნიცამ" შინ აჯობა ნიმის „ოლიმპიკს" — 2:0. გოლები გაიტანეს რეველიმ და ერიქსონმა.

მარსელის „ოლიმპიკმა" სტუმრად წააგო „მეტზთან" — 0:2. „სენტ-ეტიენმა" ანგარიშით 2:0 შინ მოუგო „რენეს".

ლიდერთა ჯგუფი ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ნანტი"	28	16	7	5	49:26	39
„ნიცა"	29	15	9	5	55:29	39
„ოლიმპიკი" (მარსელი)	28	15	6	7	48:26	36
„ოლიმპიკი" (ნიმი)	28	14	8	6	37:24	36

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზაზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 15 აპრილი. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი). დასაწყისი 16 ს. მოზარდთა რესპუბლიკური პირველობა. გლდანის სტადიონი. „სპორტინტერნატი" (თბილისი) — მწვრთნელთა სკოლა (თბილისი). 11 ს. ასკ-ს სტადიონი. განათლების განყოფილება (თბილისი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თელავი). 13 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 11371